# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 28 აგვისტო № 1566

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ქეთევან ლუარსაბის ასული ყურულისა შვილებითა და სიძითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1-ს სექტემბერს სოფ. არბოში წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

დურმიშხან შალვას ძის ყურულის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება. (3—2)

სააქციონერო საზოგადოების ფაბრიკის საწერ-ქაღალდის საწყობი

**გ. ი. პალლიზენისა**

20 აგვისტოდან გადადის ახალს სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე, ტფილისის სობრანიის ქვეშ, თავ. მუხრანსკისეულ მანთაშევის სახლში. (5—4)

**სკოლა და პანსიონი**
**ა. მამულაიშვილისა**

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგას ქუჩა (ОЛГИНСКАЯ) № 13. (10—8)

**სასწავლებელი და პანსიონი**
**ა. გ. მირზაშვილისა**

ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის აქვე ამზადებენ ყმაწვილებს ზემდეგრის და იუნკრის სკოლებისთვისაც. (16—6)

მკურნალი
**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანია.** როგორც ვიცით, გერმანელი მოსამსახურე ქალები მხნედ ცდილობენ თავიანთ ბედის გაუმჯობესობას. «რუსკია ვედომოსტი»-ს კორესპონდენტი კიდევ შემდეგს იწერება ამის შესახებ: «მოსამსახურეები ბევრ საჯარო კრებას ჰმართავენ, თავიანთ მდგომარეობაზე ლაპარაკობენ და არკვევენ, თუ რა საშუალებით უნდა გააუმჯობესონ ეს ბედი. ამისთანა საჯარო კრებები პირველად შარშან გამართა ბერლინში. ამ კრებაზედ ლაპარაკობდნენ ისეთი პოლიტიკური ორატორები, როგორც ფონ გერლახი, გვანჭაუზენი და ქალთა საზოგადოების ბევრი განათლებული მოღვაწე ქალი. ამათთან ერთად მოსამსახურე ქალებიც. ზოგიერთი მოსამსახურე ლაპარაკსაც ვერ ახერხებდა, სამაგიეროდ ზოგიერთი ყველას აოცებდა თავისი დალაგებული და ჭკვიანური ლაპარაკით. ყველას აოცებდა რა მოხერხებითა და რა მკაფიოდ ასურათებდნენ მოლაპარაკე ქალები თავიანთ მდგომარეობას. ქალები თავიანთ თავს «თანაშემწეებს» ეძახიან: მსახური ქალის სახელი საწყენადა და უკადრისად მიაჩნიათ. მოსამსახურეებმა ორი საზოგადოება დააარსეს: ერთს რადიკალურს, „საშინაო შრომის დამხმარებელი საზოგადოება» ჰქვიან სახელად. ამ საზოგადოებაში წევრებად მარტო მოსამსახურეები არიან, 300-მდე წევრი იქნება. მეორე საზოგადოებაში წევრებად მოსამსახურეების გარდა ქალბატონებიც არიან. ამ საზოგადოებას მოსამსახურეებისა და ბატონების ინტერესების შეთანხმება აქვს საგნად. 600-ზედ მეტი წევრი ეთვლება. ორივე საზოგადოებას საკუთარი გაზეთები აქვთ, კრებებს ახდენენ. საზოგადოებანი ჰმართავენ აგრეთვე სადამოებს, სადაც განათლებული ქალბატონები და მათი ქალიშვილები ლექციებს უკითხავენ მოსამსახურეებს, ესაუბრებიან, ყველანი ერთად თამაშობენ, მღერიან,—ერთის სიტყვით ქალბატონები ცდილობენ მოსამსახურეებს დაუახლოვდნენ და კეთილშობილურად, ადამიანურად გაატარებინონ თავისუფალი დრო».

✿ ნაფიცი ვექილი ჰარნი „ნაციონალ ცაიტუნგ»-ში ამტკიცებს: ის სამხედრო სასამართლო, მარტენი რომ დაამტყუნა, უკანონოდ იყო შედგენილი. ჰარნი ამბობს: კანონის ძალით, იმ ოფიცრების სია, ვინც წლეულ იყვნენ დანიშნული მოსამართლეებად, შარშანვე უნდა გამოცხადებულიყო. მეორე ინსტანციის მოსამართლეები კი ყველანი 1901 წლის იგნისში დაინიშნენ. ეს უმთავრესი საბუთია, რომ მარტენმა აპელაცია გადაიტანოს. ამას გარდა კიდევ სხვა საბუთებიცა აქვსო.

ამ საქმეზე მარტენის გარდა მეორე ბრალდებულიც იყო, ჰგვარად ჰიკელი. ჰიკელი, როგორც ვიცით, სასამართლომ გაამართლა. ეს გამართლება სამხედრო პირებს ჭკუაში არ მოსვლიათ და აპელაციის გადატანას აპირებენო. «მატენ»-ს გაუგია: გერმანიის საზოგადოება მეტად აადელვა ამ ამბავმაო. ყველანი ამბობენ თურმე: კაცი ორჯერ გაამართლეს და მაინც უნდათ, რომ უსათუოდ სიცოცხლე მოუსპონო.

**სამხრეთ-აფრიკა.** «პარი ნუველ»-ი შემდეგ საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ბურების სარდალ შიფერსზე:

«წარსულ თვეში შიფერსმა სოფელი ბალესპარტი დაიჭირა. ზოგიერთი რამ უჭირდა და ერთს აფრიკანდელს სთხოვა ჩემთვის საჭირო ნივთები მომყიდეო, ნაღდ ფულს მოგცემო. აფრიკანდერმა უპასუხა: ინგლისის ქვეშევრდომი ვარ და ვერ მოგყიდიო; თუ შენი თხოვნა შევასრულე, ინგლისელები მთელ ჩემს ქონებას ჩამომართმევენო. «კარგი და პატიოსანი, უფულოდაც გამოგართმევ, რაც ჩემთვის საჭიროაო» —მიუგო შიფერსმა და თავისი სიტყვა აასრულა კიდეც. მაგრამ მეორე დღეს შიფერსი მაინც მივიდა აფრიკანდერთან და ფული შეაძლია. აფრიკანდერმა ისევ უარი უთხრა და ასე დაუმატა: მაგ ფულის აღება დიდ ზარალს მომცემსო.—რაკი თქვენ საქონელს მუქთად მითმობთ, მინდა მცირედი საჩუქარი მაინც მოგართვათო—უპასუხა შიფერსმა, ოქროს ფული მისწოდა და უთხრა: ხომ ჰხედავთ, ეს ინგლისური ოქროა, ჩვენ, ბურები, იმავე კასსიდან ვიღებთ ჯამაგირს, საიდანაც ინგლისელები იღებენ. რაც კი რამ გვაქვს, ყველაფერი ინგლისურია: უნაგირი, ცხენი, თოფი და სხვ. ყველა ეს ერთი კაპეიკიც არ დაგვჯდომია,—ყველაფერს ინგლისი ყიდულობს. გნახოთ, როდემდე შესძლებს ამოდენა ხარჯსა.

**ინგლისი.** ირლანდიელების მეთაურს ჯონ რედმონდს გამოუცხადებია: ირლანდიის შეერთებული ლიგა პარლამენტის გაკეტის დროს, შემოდგომაზე მთელს ირლანდიაში ძლიერ აგიტაციას გაჰმართავსო.

✿ «მემორიალ დიპლომატიკა»-ი იუწყება: კიტჩენერს უსათუოდ წამოიყვანენ სამხრეთ აფრიკიდანაო და ლორდ რობერტსის თანაშემწედ დანიშნავენო. ინდოეთის ჯარის მთავარ სარდლად კი კონაუტის ჰერცოგის დანიშვნა სწადიანთო.

## ფელეტონი

### პედაგოგიური დაკვირვებანი შვეიცარიაში

შარშან ზაფხულს ციურიხში და მის ახლო-მახლო ადგილებში დავყავი თითქმის ერთი თვე (28 დღე). ამ ხნის განმავლობაში ცოტაოდნად დავაკვირდი იქაურ პირველ-დაწყებით სკოლას. გავუზიარებ მკითხველს ამ ჩემს დაკვირვებას. იქნება ზოგს საინტერესოდ ეჩვენოს.

დაკვირვების საგნად გავიხადე სასოფლო სკოლა ანუ, საზოგადოდ, პირველ-დაწყებითი სწავლა. მივაქციე უმთავრესი ყურადღება სხვა და სხვა საგნების სწავლების წესსა, მეთოდებს, იმას თუ რა ხერხსა და ღონისძიებას ხმარობენ, როგორ ეწევიან მძიმე უღელს სწავლებისას ჩვენი პროფესიის პირნი, პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებელნი. მე მოკლე დროს, სულ 10-მდე დღე დავდიოდი სკოლებში. ეს დრო იმისათვის, ვისაც გულდადებით და სავსებით უნდა გაეცნოს აღებულ საგანს, ვინ არ იცის, რომ მეტად მოკლეა. ამასთან ჩემი დაკვირვების ნაყოფიერებას ხელს უშლიდა მეტის მეტი სისუსტე ჩემ მიერ გერმანული ენის ცოდნისა. ეს სიძნელე მით უფრო ორკეცდებოდა, რომ იმ სკოლაში, სადაც მე ვმუშაობდი პირველად, როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლენი მომეტებულად დიალექტურად ლაპარაკობდნენ. შვეიცარიის თითოეული კანტონი იმდენად განსხვავებულ ერთმანეთისაგან კილოზე ლაპარაკობს, რომ, როგორც თვითვე მოგვითხრობენ, ზოგიერთ კანტონებს ერთმანეთისა ძნელად გაეგებათ *).

მაგრამ, მეორეს მხრით, გარდა იმისა, რომ მე, როგორც მასწავლებელს, შედარებით მეადვილებოდა სკოლის შინაგანი წესრიგის დაკვირვება,—ის გარემოებაც მშველოდა, რომ მასწავლებლები მეტის-მეტად თავაზიანები იყვნენ და ყოველს კითხვაზე დიდის სიამოვნებით პასუხს მაძლევდნენ.

რომ მცირე დაკვირვების მასალისაგან დიდი რამ დასკვნები არ გამომეყვანა, ვამჯობინე დღიურში ჩატანილი მასალა პირდაპირ გაუზიარო მკითხველსა და მივსცე ამ სტატიას აწერილობითი ხასიათი. ბევრი, რაც ქვემოთ მოხსენებულია, ზოგს, განსაკუთრებით მასწავლებლებს, წვრილმანად, საზოგადოდ ცნობილად და აღნიშვნის არ ღირსად მოეჩვენება. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გამოვტოვეთ ერთი მასალა იმ იმედით, რომ თუ სარგებლობას ვერა, დიდს ვნებას მაინც არ მოუტანს მკითხველს. სხვებისა რა მოგახსენოთ, და მე კი ბევრი რამ შემმატა სწავლების საქმეში ამ მოკლე პედაგოგიურმა დაკვირვებამ შვეიცარიაში.

პირვანდელი ანუ ელემენტალური სკოლა (Primarschule, elementarschule) შესდგება რვა განყოფილებისაგან ანუ, როგორც იქ ეძახიან, რვა კლასისაგან, რვა წლის კურსისაგან. უკანასკნელ ორ წელს, ანუ 7 და 8 კლასიანები, როგორც მოზრდილნი, ზაფხულობით ნაკლებ დადიან (კვირაში ორ დღეს) კლასში. სოფლის სკოლაში ქალვაჟნი ერთად სწავლობენ. გარდა სამოსწავლო მთავრობისა, სკოლას უფროსობს და მეთვალყურეობს ადგილობრივი სკოლის სამზრუნველო, რომელსაც დიდი უფლება აქვს სკოლაზე... პირველ წლებში მღვდელი არაფერს არ ასწავლის სკოლაში. ამ დროს რელიგიას, რომელსაც მორალი ეწოდება, ასწავლის მასწავლებელი. ერთმა მასწავლებელთაგანმა ციურიხში მითხრა: რელიგია რომ დავარქვათ, ებრაელი ცალკე გარბის, კათოლიკე ცალკეო და სხვ., ხოლო რაკი მორალია, ყველანი ერთგვარად მოისმენენ გაკვეთილსაო. უფროს კლასებში კი რელიგიას ასწავლის მღვდელი. გარდა ამისა მღვდელი ყოველ-კვირა დღეს რელიგიურ სწავლა-მოძღვრებას ეკკლესიაში აძლევს მოსწავლეებს: ასწავლის სწორედ ისე, როგორც კლასში.

საამურია და სანატრელი მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება. ყოველთვის ბავშვები კლასში მოსვლისას „დილამშვიდობით“-ის თქმით ხელს ართმევენ მასწავლებელს. აგრეთვე გამოეთხოვებიან წასვლისასაც. ხანდახან დროს შესამოკლებლად პატარებს ორთავე ხელებს გაუწვდის ხოლმე მასწავლებელი. კლასის გარეთაც თითის ტოლა ბალღები მიირბენენ ქუჩაზე მიმავალ მასწავლებელთან ან მღვდელთან და ხელს ჩამოართმევენ. ჩვენებური «რაბოლეპური» თავის დაკვრა მანდ არ არის. ბავშვებს პატარაობიდანვე ენერგება გულში, დისციპლინისა და წეს-რიგის დაცვასთან ერთად, ძმობისა, ერთობისა და თანასწორობის პრინციპი და გრძნობა თავის-თავის პატივდებისა. ის ჩინური კედელი, რომელიც ამართულია ზოგან ჩვენში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, საარაკო რამ იქნებოდა შვეიცარიაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ შვეიცარიაში პირვანდელი სწავლა-განათლების მიღება, როგორც მოგეხსენებათ, სავალდებულოა. მშობლები ვალდებულნი არიან თავიანთი შვილი რვა წელიწადი ატარონ სასწავლებელში. იქნება რვა კლასი (იგულისხ. რვა განყოფილება) უნიჭობისა ან სხვა რამე მიზეზით ვერ გაიაროს მოსწავლემ, მაგრამ რვა წელიწადი უსათუოდ უნდა იაროს სასწავლებელში.

#### უიტიკონის სასოფლო სკოლა.

ს. უიტიკონი (Uitikon a Albis) მდებარეობს ქ. ციურიხიდან ერთი საათის სავა-

---

*) აუგ. ბოლცი სწერს: „არამც თუ თითოეულ პროვინციას, მაზრას, არამედ სამხრეთ გერმანიასა და შვეიცარიაში თითქმის თითოეულ სოფელს აქვს თავისი საკუთარი სიტყვები და თავისებური გამოთქმა (გამოხატულება). ამისაგან წარმოსდგება ის უცხოელთათვის საძნელო გარემოება, რომ ასე ცოტა გერმანელები ლაპარაკობენ იმ წმინდა მწიგნობრული ენით, რომელსაც წიგნებიდან სწავლობენ“.

**ავსტრ-უნგრეთი.** გაზეთები იუწყებოდნენ, ვითომც რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ვენაში აპირობს წასვლასაო. «ფრანკ. ცაიტ.»-ს სწერენ ვენიდან: რუსეთის მინისტრს ოფიციალურად არაფერი არ შეუტყობინებია ავსტრიის მთავრობისათვის, თუ ვენაში მოსვლას აპირობსო.

✡ ჩვენ ვიცით, რომ უნგრეთის გაზეთები მეტად მკაცრად ჰკიცხავენ გრაფ გოლუხოვსკის: ცუდად მიჰყავს გარეშე საქმეები, ბალკანეთში ავსტრიელის ლამის მთლად დაუკარგოს გავლენაო. სამაგიეროდ რუსეთი მოხერხებულად იქცევა და თითქმის ბალკანეთის წვრილი სახელმწიფოები თავის ყურ მოჭრილ ყმად გაიხადაო. უნგრეთის გაზ. «ნამჟირ ნემზეტ»-ი ესარჩლება გოლუხოვსკის: რუსეთისა და ავსტრ.-უნგრეთის ის პირობა ხომ არ შეუკრავთ, რომ ბალკანეთში ერთმანერთთან მოცილეობა აღარ ჰქონოდათო. ამ მოცილეობის მოსპობა შეუძლებელია ორივე სახელმწიფომ მარტო საზღვარი დანიშნეს ამ მოცილეობისათვის. რუსეთი ჯერ არ გადასცილებია ამ საზღვარს, თორემ გოლუხოვსკიც დაუყოვნებლივ ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევდაო.

**შეერთებული შტატები.** ნიუ-იორკიდან იწერებიან: ამერიკელმა მოქალაქემ სამოციემ 52 კაცი შეკრიბა და დაუყონებლივ საფრანგეთში მიდისო. სამოციე ამბობს: საფრანგეთში 600 ფრანკი მოგვემატება და ყველანი ერთად სამხრეთ აფრიკაში ბურების საშველად წავალთო.

ფოლადის ქარხნებში რომ გაფიცვაა, თანდათან ძლიერდება. მუშების მეთაურები ძლიერ ეცადნენ, საქმის გადასაწყვეტად მედიატორები დაენიშნათ, მაგრამ სინდიკატის მეთაურები ვერ დაიყოლიეს.

«დეილი მაილ»-ს დეპეშით ატყობინებენ: სინდიკატიც თანდათან უფრო ძლიერდებაო, თანთან სხვა და სხვა ქარხნებსა და ფაბრიკებს იერთებსო. ეს არის ეხლა ბეთლეემისა და ვიკერ მაქსიმის დიდი ქარხნები ოფიციალურად შეუერთდნენო. ესეც სულ მარგანმა მოახერხაო. ამას გარდა მარგანი სხვა საქმეებსაც აპირობს: გემების საშენებელს და გემების ჯავშანის ქარხანას ჰმართავსო.

✡ შეერთებულ შტატებში ხშირად მოხდება ხოლმე, რომ თეთრი მოდგმის ხალხი სასამართლოს აღარ უცდის, თითონვე სჯის სამართალს და თითონვე უსწორდება დამნაშავე ზანგსა. ამ ნაირ სამართალს ამერიკელები «ლინჩის სამართალს» ეძახიან. დღე არ გავა თურმე, რომ სადმე ზანგი ან თოფით არ დახვრიტონ, ან არ დაასახჩრონ, ან არ დასწვან. ამისთანა თავნება მოსამართლეებს, რასაკვირველია, სამართალში აძლევენ, მაგრამ ჯერ მაგალითი არა ყოფილა თურმე, რომ სასამართლოს «ლინჩის კანონის» რომელიმე მიმდევარი გაემტყუნებინოს. ესეთი მაგალითი მხოლოდ ეხლა მომხდარა. შტატ ალაბამიდან იწერებიან: ვინმე ყორე ჰქავარდს სასამართლომ საუკუნოდ დაკარგვა მიუსაჯა იმაზე, რომ ჰქავარდს სხვებთან ერთად ერთი ზანგი რაღაც საქმეზე «ლანჩის კანონით» გაესამართლებინათ.

საყურადღებო ისაა, რომ ნაფიცი მოსამართლეები სულ თეთრი მოდგმის ხალხი ყოფილა.

**ოსმალეთი.** «კოლნიშე ცაიტუნგ»-ი აცხადებს: 1898 წელს სოფიაში ალბანელი არნაუტების და მაკედონიელი ბოლგარების წარმომადგენლებმა ერთმანერთთან ამნაირი საიდუმლო პირობა შეკრესო.

ამ პირობის ძალით ოსმალეთის ევროპის სამფლობელოში ორი დიდი ავტონომიური ოლქი დაარსდეს: ალბანი და მაკედონია. პირველში სატახტო ქალაქად ელბასანი უნდა იყოს, მეორეში—სალონიკი. ორივე პროვინციისათვის გენერალ გუბერნატორებს ხონთქარი დაჰნიშნავს ხუთის წლის ვადით. ალბანიაში გუბერნატორად ალბანელი უნდა იყოს, სარწმუნოებით მაჰმადიანი, მაკედონიაში კი მაკედონელი ბოლგარი, სარწმუნოებით ქრისტიანი. მაკედონიისათვის გუბერნატორად პრინც იოსებ ბატენბერგელი უნდოდათ. შინაგანი მართველობა ორივე ოლქში ამნაირი უნდა ყოფილიყო, როგორიც აღმოსავლეთ რუმელიაში იყო, ვიდრე ბოლგარიას შეუერთდებოდა. უმაღლეს მოხელეებს ხონთქარი უნდა ნიშნავდეს. სახელმწიფო ენად ალბანიაში—ოსმალური, ალბანიური და სლავიანური უნდა იყოს. მაკედონიაში—ოსმალური, ბოლგარული და ბერძნული. პოლიციასა და მილიციას ყველა ადგილობრივ ხალხში მოაგროვებენ. ოლქების ზოგიერთ ადგილს ოსმალეთის ჯარი დარჩება. ხონთქარს უფლება აქვს ადგილობრივ მაჰმადიანებში და ქრისტიანებში ჯარი მოკრიბოს, მაგრამ ამ ჯარს მარტო ევროპის სამფლობელოს დასაცველად უნდა ხმარობდეს. ორივე ოლქი თავიანთ შემოსავლის 20% ხონთქარს აძლევენ ხარკად. ადგილობრივ კანონებს გენერალ-გუბერნატორი ადგენს, ხალხის წარმომადგენლები ჰსინჯავენ და ხონთქარი ამტკიცებს. ხალხის წარმომადგენლებს საყოველთაო პირდაპირ კენჭის ყრით ირჩევენ.

«კელნიშე ცაიტუნგ»-ი ამტკიცებს, მაკედონიის უმაღლესი კომიტეტი სწორედ ამნაირ პროგრამას მისდევს,—და ალბანიაშიაც ბევრი გავლენიანი მომხრე ჰყავს ამ პროგრამასაო.

**იტალია.** გაზეთი «იტალი» იუწყება: 30 საერო საზოგადოების წარმომადგენლები რომში შეიკრიბნენ და პროტესტი გამოაცხადეს: იტალიაში ფრანგი ბერების კრებულებს ნუ შემოუშვებთო. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინათ:

დიდი ჭირი მოელის იტალიას, სხვა ქვეყნებიდან განდევნილი ბერები ჩვენში აპირობენ დასახლებას. დიდი სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ბერებს იტალიაში დასახლების ნება მივცეთ. იმის თქმა ხომ საჭირო აღარაა, რომ ბერები დიდ ზარალსაც მოუტანენ ჩვენ ქვეყანას. ამისათვის კრებამ დაადგინა, კომიტეტი ავარჩიოთ და დავავალოთ: მთავრობას ძალა დაატანოს, თავისი მოვალეობა შეასრულებინოს და ჩვენებური და გარედან შემოსეული ბერების წინააღმდეგ ღონისძიება მიაღებინოსა.

ეს დადგენილება ერთხმად იყო მიღებული.

## ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი და მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე ბათუმიდან ტფილისში დაბრუნდნენ.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი **ბ-ნი სვეჩინი** გორის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა გუშინ-წინ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 300 **რუსის გლეხი** ხერსონის გუბერნიიდან სთხოვს კავკასიის ადმინისტრაციას მისცეს მათ თავისუფალი ადგილი დასასახლებლად.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ფინანსთა მინისტრს საბოლოოდ გადაუწყვეტია ვავკასიაში **საფაბრიკო ინსპექციის** კანონის შემოღება მომავალ წლის პირველ იანვრიდან.

✦ წარმოდგენები და კითხვები **აგზალის აუდიტორიაში** დაიწყება 20 სექტემბრიდან, რადგან რემონტს ვერ გაათავებენ.

✦ რუსეთის რკინის გზების „მოძრაობის“ წარმომადგენელთა კრებამ საჭიროდ სცნო გადაწყვეტილ **სამუშაო დღის** შემოღება რკინის გზის ყველა მოსამსახურეთათვის ისე, როგორც ეს შემოღებულია სახელოსნო მუშებისათვის, და დაადგინა შუამდგომლობის აღძვრა ამ საქმის გამო გზათა სამინისტროს წინაშე.

✦ როგორც შევიტყეთ, მომავალ საიუბილეო **დღესასწაულში** მონაწილეობის მიღება დაუჯდება ქ. ტფილისს 30,000 მანეთამდე.

✦ პეტერბურგის ხუროთ-მოძღვართა საზოგადოებამ წარუდგინა საერო განათლების მინისტრს დასაბუთებული შუამდგომლობა, რათა ახალ საშუალო სკოლაში დიდი ადგილი დაეთმოს **საზღვაო ხატვის სწავლებას.**

✦ ამიერ კავკასიის **რკინის-გზის სამმართველომ** გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც, აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ამიერ კავკასიის რკინის-გზის სადგურების უფროსები და ზოგიერთ მოხელენი არ ასრულებენ წესს შესახებ ფორმის ტანისამოსის ტარებისა, წინადადებას აძლევს მოხელეთ, რომ სამსახურის აღსრულების დროს უთუოდ ფორმის ტანისამოსი ატარონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯილ იქმნებიან ყველა ის მოხელენი, ვინც აღნიშნულ ცირკულიარის შეუსრულებლობაში იქმნებიან შენიშნულნი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **კომერციული სასწავლებლის** დირექტორი ბ. ფიშერი.

---

ლის მანძილზე. ამ სოფლის სკოლა მოთავსებულია მშვენიერ ქვითკირის შენობაში.

კლასის ოთახი სიგრძით დაახლოვებით 13 ალაბია, სიგანით—11, სიმაღლით $3^1/_2$-დან ოთხამდის. ოთახი, როგორც ხედავთ, დაბალია, მაგრამ სამაგიეროდ თბილი, რაც ძლიერ საჭირო უნდა იყოს შვეიცარიაში. ფეჩი აქვს ცალკე, ჩინებული. ფანჯრები, რიცხვით 9, მეტად დიდნი. იატაკი უბრალო, შეუღებავი, მაგრამ ძლიერ ფართე და მტკიცე ფიჭვის ფიცრებისაგან. ჭერი შელესილია. „პარტები“ სდგას კლასში სადა ძველებური, მაგრამ მეტად მტკიცე. პატარებისთვის ცოტა უფრო დაბალი. ჯდომის დროს მოსწავლენი უკანა პარტებს აწვებიან ზურგით. შვიდი „პარტა“ (სიგრძით თითო $3^1/_2$ ალაბამდის) დგას ერთ მხარეზე, დანარჩენი 8 მეორე მხარეზე. შუაში დიდი, ფართე გასავალია. ერთი რიგი პარტების წინ დგას ერთი კლასის დაფა, ხოლო მეორე რიგის წინ—მეორე დაფა. მასწავლებელი ყოველის მხრიდან გარშემო უვლის მოსწავლეებს. მოსწავლეების სტოლებსა და კედელს შუა ძლიერ ვიწრო ადგილია დარჩენილი, სულ $2^1/_2$ ალაბამდის. აქ ფანჯრების პირდაპირ ორივე რიგის „პარტების“ წინ დგას მასწავლებელის სტოლი ან უკეთ—ამაღლებულია კათედრა. აქედან ერთ მხარეზე ანალოღიას მსგავსი საწიგნე დასადებად და საჩვენებლად სხვა და სხვა სასწავლო ნივთთა. მასწავლებლის კათედრის მეორე მხარეზე შკაფია სახელმძღვანელო წიგნებისათვის. შკაფზე მიყუდებულია შვედური ჩოთქები. შკაფთან კიდევ ერთი პატარა სტოლი და სკამი. ეს სტოლი ხელ-და-ხელ სახმარებელია, როცა მასწავლებელს ამ განყოფილებასთან (რომლის წინაც დგას) შეხვდება მეცადინეობა. ამ კედლის მოპირდაპირე კედელში, შემოსავალ კარების ორთავე მხარეს ჩატანებულია ორი დიდი შკაფი. ერთი ამ ორთაგანში წარმოადგენს ფიზიკურ ანატომიურ-ქიმიურ კაბინეტს—სხვათა შორის იქ ინახება მშვენიერი და მეტად გარკვევით, დიდად გადიდებული სურათები ადამიანის თავის ქალასი, ტვინისა, გულ-ღვიძლისა, სისხლის მოძრაობისა, ნერვებისა და სხ. აგრეთვე—ასეთებივე სხვა და სხვა ფრინველებისა და ცხოველებისა. აქვე ინახება სხვა და სხვა შუშები წამლებითა და სხ. მეორე შკაფში კი ინახება სასწავლო ნივთები, რომელთაც მასწავლებელი საჭიროების და გვარად უსასყიდლოთ აძლევს მოსწავლეებს. მუნვე სდგას რამდენიმე ყუთი სასწავლო ნივთებისათვის, მაგალ., სახატავის ნიმუშები, გეომეტრ., კუბიკები, კვადრატები, სამკუთხედები, ფარგალი და სხვ. და სხ. კლასში არის გარმონი (Harmonium), რომელსაც მასწავლებელი უკრავს და იმის ხმაზე ასწავლის გალობას. კედლებზე რაღა ჰკიდია? უფროს კლასიანების პირდაპირ მთელის შვეიცარიის კარტა; იმათ მომდევნო კლასიანების პირდაპირ ციურიხის კანტონის კარტა, ისეთი დიდი, რომ გეგონებათ მთელის ევროპის ან აზიის კარტა უნდა იყოსო. ამ რუქაზე ს. უიტიკონი, სადაც ეს სკოლა არსებობს, ისე დიდათ არის აღნიშნული, თითქოს საკანტონო ქალაქი იყოს. ყველაფერია ზედ ჩაწერილებით. შემდეგ ჰკიდია პალესტინის კარტა. არის ჩამოკიდებული აგრეთვე მთელის შვეიცარიის ეგრედ წოდებული რელიეფური (მთები, ანეული, ხეობები ჩანეული) კარტა. მესამე კედელზე ქვეყნიერობის სიმრგვლის კარტა. სხვა და სხვა ქვეყნის ნაწილთა კარტები შენახულია შკაფებში. მასწავლებლის კათედრის გვერდით ჰკიდია კედელზე სურათი პეინრ. პესტალოცცის ძეგლისა ციურიხში. პესტალოცცის შესცქერის ორი ბავშვი. იმის გვერდით სურათი ვილჰელმ ტელის ძეგლისა. ჰკიდია კიდევ ვილაც სამოსწ. სემინარიის დირექტორის სურათი. კედელზედვე ორი ლამაზი ნახატები სამშობლო ქვეყნის სასარგებლო ფრინველებისა. ჩამოკიდებულია ტერმომეტრი, რომელზედაც შედარებით აღნიშნულია სითბო რეომიურითა, ცელსიურითა და ფარანგეიტითა. ერთს კუთხეში აწყვია მრავალი რკინის ჯოხები საგიმნასტიკო ვარჯიშობათათვის... ფანჯრებს გარედან დაჭრილი დარაბები აქვს, ხოლო შიგნიდან უბრალო ტილოს ფარდები...

**14 (27 ახალ. სტილი) ივლისი, პარასკევი.**

14 ივლისს (27 ახალ. სტილ.) პირველად შევედი უიტიკონის ს. სკოლაში. გაკვეთილი ახლა იწყებოდა გეოგრაფიისა, ახლამდის ენა ყოფილიყო.

მასწავლებელმა ქარტა ევროპისა დაფაზე გადაჰკიდა. სახელმძღვანელო წიგნიდან თითოეულ მოსწავლეს, რიგ-რიგათ, თითო წერტილი ასახსნელი გაკვეთილისა წააკითხვინა. კითხულობენ მჯდომარენი. პასუხის მიცემის დროსაც აქ ადგომა არ იციან მოსწავლეებმა. თითებსაც ყველას აშვერენ, ხან მარჯვენა ხელისა და ხან მარცხენა ხელისას, ვის როგორ ეხერხება.

შემდეგ წაკითხულის განმარტება დაუწყო მასწავლებელმა: წვიმაზე, ქარზე და სხ. და მათ გავლენაზე მიწის ნაყოფიერობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და სხვ. ესენი ვისთანაც ახლამდის (7 საათიდამ 9-მდის) მეცადინეობდა მასწავლებელი, უფროს კლასიანები იყვნენ. ცხრა საათზე უმცროსნიც შეგროვდნენ გარდა პირველი განყოფილებისა ანუ, როგორც აქ ეძახიან, პირველი კლასისა.

მეორე კლასიანებს, გაკვეთილი წააკითხვინა თუ არა, საწერი მისცა და თვითონ მესამე კლასიანებს (მესამე განყოფ.) მიუბრუნდა. მთლად უფროსნი—მეშვიდე და მერვე კლასიანები გაკვეთილს ამზადებდნენ, მაგრამ სულ ჩუმათ, ისე, რომ არც მასწავლებელს და არც მოსწავლეებს არ უშლიდნენ მეცადინეობას. მესამე კლასიანებს თითო-თითოდ გაჰყავს და წინა დღით გაკვეთილად მიცემულ ლექსს ზეპირად აკითხვინებს. ლექსის კითხვის დროს მოსწავლე გამოდის, როგორც თეატრში პირს მოწაფეებისაკენ (პუბლიკისკენ) იბრუნებს და ისევ კითხულობს. მასწავლებელი გამოთქმას და სხ. უსწორებს. გაკვეთილის მოსმენის შემდეგ ამათაც საწერი მისცა. ამავე დროს მასწავლებელი მეექვსე კლასიანებს ნაწერს ყარანდაშით უსწორებს, რის შემდეგ ამათ აუხსნა ლექსი შილლერისა ჰაბსბურგელი გრაფი. ახსნის დროს მასწავლებელმა ცალკე წიგნი მეც მომაწოდა. ახსნის შემდეგ მასწავლებელმა კითხვით მიმართა მოსწავლეებსა, რამდენი ტაეპი შეგიძლიანთ დაისწავლოთო და, მიიღო რა პასუხად ორიო, სამი ტაეპი მისცა საზეპიროდ. ბოლოს მთელი კლასი რამდენსამე ხანს სწერდა. სწერდენ ყველანი ორ ხაზიან რვეულებში, უფროსნი მარტო ერთ ხაზზე. უფროსნი (გარდა ორი პირველის, ვგონებ) თითონ იხაზავდნენ რვეულებს სასწავ. ფარგლის შემწეობით, რომელსაც ყველანი ატარებენ. ფარგლით გამოზომავენ პირველი ხაზის სისწორეს, შემდეგ კი ოთხ-კუთხედებს (ოთხ-კუთხიან სახაზავებს) აბრუნებენ და ქვემოდან უვლებენ ხაზებს.

წერის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეთა დახმარებით შუაზე დასდგა ჰარმონი. მოუჯდა ისე, რომ პირი იმ მხრისაკენ ჰქონდა, რა მხრისაკენ სხდომის დროს მოსწავლეებსა, ეს უკანასკნელნი დააყენა—ქალები ერთ მხარეზე, ვაჟები მეორეზე და **ჰარმონის** ხმაზე აგალობა რამდე-

◆ კავკასიის **გამოფენის კომისარის** განკარგულებით, გამოფენაზე ბუფეტებში და სხვა და სხვა კიოსკებში საზოგადოებამ ფულის ნაცვლად უნდა მისცეს მარკები, რომლებიც უნდა შეიძინონ კასებში. თუ, ვინიცობაა, ნაყიდი მარკები მყიდველს ერთ შესვლაზე არ დაეხარჯა, მარკებს ყოველთვის თავისი გასავალი ექნება, ხოლო მისი უკანვე დაბრუნება ფულის მისაღებად არ შეიძლება.

◆ 26 აგვისტოს სადგურ საგირზე მოხდა ორის საქონლის **მატარებლის შეჯახება;** რელსებიდან ჩამოვარდა ორივე ლოკომოტივი და დაიმტვრა ერთი ნავთის ვაგონი.

◆ **კავკასიის გამოფენის** ხელოვნების განყოფილებაში კარგა ძალი ექსპონატები მოსულა. სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს ახალგაზდა სკულპტორის ნიკოლაძის ქანდაკება—ჯავშნიან ხევსურის ბიუსტი. დეკადენტებსაც გამოუგზავნიათ რამდენიმე ნიმუში მათებურ ხელოვნებისა.

◆ 27 აგვისტოდან კავკასიის **მთავარ-მართებლის კანცელარიაში** მუშაობა იწყება დილის 10 საათზე და თავდება სამზე.

◆ ცნობილ როსტოველ ვაჭარს პასტუხოვს შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რათა მას **სპილენძის მადნის** დამუშავების ნება მისცენ ზანგეზურის მაზრაში (განჯის გუბ). მადნიანი ადგილი გლეხების ხელშია ეხლა, მაგრამ გლეხები თურმე თანახმანი არიან დაუთმონ იგი პასტუხოვს.

◆ **გუბერნიის მეხანიკს** ხელინსკის დაუთვალიერებია ქ. ტფილისის გუბერნიის ქარხნები და ფაბრიკები. ჩითახოვის მემკვიდრეების ჩითის ფაბრიკის დათვალიერების დროს ერთი ქვაბი უვარგისი აღმოჩენილა.

◆ კირპიჩნი ქუჩის **სახლის პატრონმა ბ. სვიმონოვმა** განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. ბ. სვიმონოვს დაუხარჯავს ხსენებულ ქუჩის მოსაკირწყლავად 1800 მანეთი საკუთარი ფული ჲ, გარდა ერთის სახლის პატრონისა, რომელსაც 50 მ. გადაუხდია, მას არავინ დახმარებია. რადგან ქუჩების სახელების დამრქმევმა კომისიამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა და ქუჩას მაინც სახელი შეუცვალა, ბ. სვიმონოვი თხოულობს, ან 1800 მანეთის დაბრუნებას, ანა და ნებართვას აჰყაროს დაფენილი ქვები.

◆ ამიერ კავკასიის საბეპიო ინსტიტუტს განუზრახავს მიუმატოს ჯამაგირები იმ ძიძებს, რომელთაც აძლევენ აღსაზრდელად **მიგდებულ ბავშვებს.** ამიერ კავკასიის საექიმო სამმართველოში უკვე აღძრულია კითხვა ამ საქმის შესახებ.

◆ კისლოვოდსკიდან გვწერენ: „ამ დღეებში აქ ვიღაც ე—მა ორჯელ **რევოლვერი ესროლა** ქ-ნ. ახუმოვისას და დასჭრა იგი. ჭრილობა მსუბუქია. მიზეზი ამ შემთხვევისა ჯერ არ იციან. ქ-ნ. ახუმოვისა ქვრივია ამას წინად გარდაცვლილ ტფილისელ ვექილის ახუმოვისა. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქ-ნ. ახუმოვს შარშან რევოლვერითვე მოკვლა მოუნდომა მისმა გერმა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ახალგაზდა ახუმოვი ეხლა საავადმყოფოში იმყოფება“.

◆ ამ დღეებში, ავჭალის სადგურზე ვიღაც ც—ს ვაგონში შესვლის დროს **ჩხუბი მოუვიდა** მ—ნთან. ც—მა ხანჯლით დასჭრა მ—იანი. დაჭრილს საექიმო შემწეობა აღმოუჩინეს და დამჭრელი დააპატიმრეს.

◆ ჩვენ გვატყობინებენ შემდეგ შემთხვევას **ძეხვით მოწამვლისას.** ს—ს ოჯახს ეყიდვინებია მოსამსახურისათვის ძეხვი; მოტანილ ძეხვის შეჭმისთანავე მამასა და შვილებს მეტად ცუდათ ეგრძნოთ თავი: აუვარდათ გულის რევა, დაიწყეს პირიდან ღებინება და აუტყდათ ფაღარათი. საბედნიეროდ, ექიმს მალე მოესწრო და გადაერჩინა მოწამლულები სიკვდილს. კიდევ ერთი საბუთი იმისა, თუ რამდენი სიფრთხილე და ზრუნვა მართებთ ჩვენს ქალაქის ექიმებს.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, 25 აგვისტოს, ფრეილინის ქუჩაზე, ვართან აკოფოვის სახლში პოლიციამ შეიპყრო ოზურგეთის მაზრის სოფ. ერკეთის მცხოვრები ივანე იოსების ძე მგალობლიშვილი, რომელსაც ქურდობაზე მიასწრეს; მგალობლიშვილი გამოძიების დროს გამოტყდარა და უთქვამს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად მან მოჰპარა სხვა და სხვა ნივთები ოქროვერცხლისა ქ-ნ ნოვაქს.

# პრესსა

სოფლის მწერალს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის; მართალია, მას ბევრის კარგის გაკეთება არა შეუძლიან-რა, მაგრამ სამაგიეროდ, თუ მოინდომა, ცუდს ბევრს იზამს, და შვრება კიდეც, რადგან უმეტეს წილად ჩვენ და რუსეთის სოფლებშიაც მწერლის თანამდებობას „მოსე მწერალის“ ტიპის ხალხი ასრულებს. ამიტომ თანაგრძნობის ღირსია „იურიდიჩესკაია გაზეტ“-ს აზრი სოფლის მწერლის თანამდებობის ამაღლებაზე და ამ თანამდებობაზე უფრო ღირსეული პირების მოწვევაზე. გაზეთის აზრით,

> „ამ თანამდებობის პრესტიჟის ასამაღლებლად საჭიროა ისეთის პირების მოწვევა, რომელთაც აქვთ ადგილობრივ საზოგადოებივ ნდობა და პატივისცემა. გარდა ამისა, რადგან სოფლის მწერალს ხშირად ბევრი შრომა აქვს, მას უთუოდ უნდა ჰყავდეს ერთი ან ორი თანაშემწე. მისი სამსახურიდან დათხოვა გუბერნატორისაგან უნდა იქმნეს დამოკიდებული, რაც მას აამაღლებს სოფლელების თვალში. საჭიროა აგრეთვე ამ თანამდებობაზე მოსამსახურეთა მომავალ ცხოვრების მატერიალური უზრუნველ-ყოფა, რისთვისაც უნდა შემოღებულ იქმნას ემერიტალური პენსია. საშუალება ამ პენსიისათვის შეიძლება შესდგს თვით მწერლის ჯამაგირიდან გამორიცხვით, გლეხებზე დადებული ახალი გადასახადით და საერობო თანხის ერთის ნაწილით.“

# პროვინცია

**ერევნის რკინის გზა.** აგერ ერთი თვე ხდება, რაც ამ რკინის გზის კეთებას თვალყურს ვადევნებთ. ხსენებული რკინის გზა აქვთ აღებული ინჟინრებს ბ. ბ. კალპიცინს და ზმიოროს, ჰყავთ საქმის მწარმოებლათ ბ. ბარტაშევიჩი. ხსენებულ ინჟინრებს ერთმანეთში მოუვიდათ უკმაყოფილება და საწყალ მუშებს ეს ორი თვე მიდის, დღიური ქირა არ მიუდიათ; მოგეხსენებათ, ერევნის გზა ისეთ ადგილებზე კეთდება, სადაც არც წყალი, არც თავ შესაფარი საჩრდილობელი ხე არ მოიპოვება. ამ ნაირ მდგომარეობაში საბრალო მუშას არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი და არც ნამუშავარი დღიური ფული, რომ მითი მაინც არის სადმე ეცი ოცდა ათი ვერსის სიშორეზე გაგზავნოს რიგ რიგად კაცი ზურის სასუ[illegible]. ამ თვის თხუთმეტში საწულებმა იპოვეს დამპალი წვიმის დაგუბებული წყალი ერთ კლდეში და მთელი დღე ის სვეს, მანამ თექვსმეტს ქვაბებით ჩამოუტანდენ ალექსანდროპოლიდან წყალს. უფრო სმაც რა ჰქნას, როცა იმის ხელში არა არისრა და ატყუებს მუშებს, დღეს, ხვალ იქნება ფულიო. თექვსმეტიდან მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე, სანამ ფულს არ მისცემენ.

ია. ხაშურელი.

---

**სოფ. გეჟეთი** (სენაკის მაზრა). «სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ» რომ იტყვიან, სწორედ ეს ითქმება ამ სოფელზე. ამ ერთი წლის წინად იყო და ერთმა ვიღაც გაიძვერა ვაჟ-ბატონმა, გვარად გუგუნავამ მთელი სოფელი მოაღორა, ექიმი ვარო და ზოგს ათი მანეთი, ზოგს მეტი დასტყუა და გაჰქრა სადღაც! დღეს კი ვიღაც სხვა გამოჩნდა ექიმის სახელით და ხალხს აბრიყვებს: ყველა ნაირი ავათმყოფობის წამლობას ჩემულობს. აქ ერთი ოთხი წლის ავათმყოფი იყო, ამისთვის უთქვამს—მორჩენო—და გარიგებია ას მანეთად, ათ მანეთამდე პირველადვე დაუძვრია და საწყალი ავათმყოფისთვის უძლევია წამალი დაწყებიდან მესამე დღემდე და მესამე დღეს კი საცოდავმა განუტევა სული!... ეხლა, როგორც გავიგე, ურიგდება ერთს ავათმყოფს, რომელიც თუთხმეტ წელიწადზე მეტია რაც დაკუტებულია, მორჩენისათვის ასი მანეთი უთხოვია, პირველად ორმოცდა-ათი მანეთი და როცა მოარჩენს დანარჩენი სხვაც.

ამას წინათ «ცნობის ფურცელში» წერილი იყო დასტამბული აქაურ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის შესახებ. 12 ამ აგვისტოს იყო ეკკლესიაში სოფლის ერილობა, რომელსაც დაესწრო ადგილობრივი ბლაღოჩინი მამა კლიმენტო ჯანტურია. მაგრამ ამ დღეს ეკკლესიის შეკეთების საქმე მაინც არ დაბოლოვდა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სრული ერილობა არ შესდგა, ჲ საქმის დაბოლოვება გადადებულ იქნა შემდეგისთვის. იმედია, ბ. ბლაღოჩინი დროით ჩამობრძანდება და საქმეს დააბოლოვებს, რად-

---

ნამე ლექსი, მათ შორის ერთი პატრიოტული ლექსი: „მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი“, რომლის თავისუფალი თარგმანი პროზით აქვე მომყავს.

„მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი და მიყვარს ჩემი სამშობლო, სადაც ღმერთმან ყინულ გვირგვინით შემკულ მთების სიმაღლიდან თავისუფლების ფირმანი გვიბოძა.

მიყვარს მთების საუცხოვო სიდიადე, რომელსაც ალტაცებაში მოვყავარ. მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი და მიყვარს ჩემი სამშობლო.

მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი, მიყვარს მხიარულება და ხუმრობა. ნათელ და გავაშვაშებულ ალპების ქვეყანას როდი შეჰფერის მწუხარე გული და დაღრეჯილობა.

ყური დაუგდეთ ჯოგების ზარისებულ ხმასა, მთა და ბარში მხიარულების სიმღერას!

მე ვარ შვეიც. ყმაწ...

მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი, სიკეთე მსურს ყველა ადამიანისათვის. გულის სიკეთე შვეიცარელის სისხლშივე სძევს თანდაყოლილად. და ან როგორ შეიძლება ამისთანა ქვეყნის მთა და ბარში მხიარულების წინააღმდეგი ხმა გაისმოდეს.

მე ვარ შვეიც...

მე ვარ შვეიცარიელი ყმაწვილი და ვერ ავიტან ვერავითარ შეურაცხყოფა სირცხვილსა.

აღფრთოვანებულ შვეიცარელთა მაღალის გრძნობით სიკვდილსაც არ შევუშინდები.

ვინც ლაჩრულად გაექცევა წმინდა სამართალსა,—იგი ბუნებითვე მონაა“.

გალობის შემდეგ მოსწავლეები, გამოეწყნენ რა წასასვლელად, მივიდნენ და ხელი ჩამოართვეს თითო-თითოდ მასწავლებელსა და მეც. ჩემზე მასწავლებელმა უთხრა: ესარის შავის-ზღვის აღმოსავლეთით მდებარე არმენიიდანაო, მე კი დავუმატე საქართველოდან მეთქი. საქართველოდანაო, რომელიც არმენიას საზღვრავსო, გაისწორა მასწავლებელმა. თორმეტ-საათზე დაითხოვა მოსწავლეები.

გარეგანის მხრით ქერა-თმიანი ქალ-ვაჟნი, ერთმანეთში არეულნი, ნიჭიერ გამომეტყველებისანი იყვნენ. სკოლაში ბევრნი, ქალებიც და ვაჟებიც, ფეხ-შიშველანი იყვნენ. ყმაწვილები ჟილეტ-პერანგის ამარა. მაგრამ ეს რა გასაკვირია: პარიზში, გამოფენაზე და ქუჩებში, ბევრნი პიჯაკებს იხდიდნენ და ამ უთვალავ ხალხში გარეთპერანგის ამარა დადიოდნენ და ეს სათაკილოდ არ მიაჩნდათ. ერთი რუსი მოგზაური მეუბნებოდა: პარიზელი ქალები,—ეს მოდის ღმერთანი, ისეთ სქელ ძირიან და სადა ფეხ-საცმელებს ატარებდნენ, რომელსაც ჩვენში მამა-კაცებიც არ ჩაიცმენო. ბერლინშიო ხელ-თათმანების ვაჭრები ისაყვედურებოდნენო, პარიზში ამ ზაფხულს ხელთათმანებს არ ატარებენ ქალები, ამიტომ ხელ-თათმანების მუშტარი შემოგვაკლდაო.

დავუბრუნდეთ ჩვენ საგანს. სახელოები გოგოებს ისე მოკლენი ჰქონდათ, თითქმის იდლიამდის ტიტველი ხელები, გაშავებულნი მზისა და მინდვრის მუშაობისაგან, უჩანდათ. ტიტველ იდაყვებს პარტებზე სდებდნენ (არა ყველანი). ყმაწვილებსაც სახელოები ჩაკაპიწებულნი აქვთ. ქალები თავს სუფთათ ანახავენ, თმა წმინდათ გადავარცხნილი აქვთ.

პირველ საათზე კვლავ შეგროვდნენ მოსწავლენი. მეშვიდე და მერვე კლასი აღარ იყო. მაგიერ ახლა პირველი კლასიანები ანუ პირველი განყოფილების მოსწავლენი მოვიდნენ.

**პირველი კლასი.** მასწავლებელს წინ და წინ დაწერილი ჰქონდა სქელ ჩამოსაკიდებელ ქაღალდის დაფაზე: n, in, an. ein, m, im, am, aim; mein.

man, non, nor, wer და სხვ. ჯერ ესენი წააკითხვინა. კითხვის სწავლების ვარჯიშობა აქვს. აიღო სიტყვა nun და თითო-თითოდ თითის ჩვენებით ეკითხება: ცალ-ცალკე? ამბობენ n—u—n ერთად? nun. nur (თითებზე). ცალ-ცალკე? n—u—r. ერთად? —nur და სხ. ავარჯიშა რა ამ სახით, საწერად მისცა პირველი ორი სტრიქონების გადაწერა.

**მეორე კლასი.** ესენი წიგნიდან გადასწერდნენ სიტყვებს დაფებზე. მასწავლებელი კლასების გასაცოცხლებლად ხანდის-ხან ტაშს უკრავს. ამ კლასიანებს მასწავლებელმა წააკითხვინა და აუხსნა სტ. ქუდი. ჩვეულებრივი კითხვები: რა არის ქუდი? რას ვიფარავთ (ვიხურავთ) ქუდით? რისგან კეთდება ქუდი? (მატყლისაგან, აბრეშუმისაგან. ქუდები ჩალისაც იქმნება). ქალების ქუდები შემკულია რითი? და სხვ. პასუხს ერთი რომ მისცემს—და დანარჩენებს ერთად გაამეორებინებს, მარტო თითო-ჯერ.

**მესამე კლასი.** ენის გაკვეთილიდან ამათ ჰქონდათ წინადადებათა შეერთება და მძიმეთა დასმა. ასეთი შესაერთებელ-გადასაკეთებელი წინადადებები სახელმძღვანელო წიგნშია მოყვანილი. მოვიყვანოთ იქიდან რამდენიმე მაგალითი: ქალი მღერის სიმღერას—ეს სიმღერა მან სასწავლებელში შეისწავლა. სიტყვიერად (ხმა მაღლა) გადაკეთების დროს მასწავლებელი მოსთხოვს და მოსწავლე ამბობს ასე: ქალი მღერის სიმღერას (მძიმე! ამ სიტყვას მძიმეს ხმის განსაკუთრებითი აწევით ათქმევინებს, რომ მძიმეს წერა თავის ალაგზე ჩაენერგოს მეხსიერებაში), რომელიც მან სასწავლებელში შეისწავლა. მამა მოხარულია შვილზე—ეგ ნიჭიერია. გადაკეთება სიტყვიერი: მამა მოხარულია შვილზე (მძიმე! სიტ.), რომელიც ნიჭიერია. ამ გვარად გადააკეთებინა თუ არა სიტყვიერად ყველა წინადადებები, რომლებიც სახელმძღვანელოში მოყვანილი იყო, შემდეგ ეს მასალა საწერად მისცა და უბრძანა თავ-თავის ალაგას ეხმარათ რომელიც და მძიმეებიც დაესვათ.

**მეოთხე კლასი.** წააკითხვინა მოსწავლეებს სტატია შვიდი ჯოხი. განმარტა შინაარსი მოთხრობისა, კითხვებით გამოიყვანა ზნეობრივი დარიგებაც.

**მეხუთე კლასი.** ჰქონდათ გეოგრაფი ციურიხის კანტონზე. შესაფერ ქარტაში აძებნინებს ქალაქებს, მდინარეებს და სხვ. შესანიშნავ ადგილებს. ამავე დროს მეექვსე კლასიანები თავიანთ ატლასებში იცქირებიან და ჩუმად ამზადებენ გეოგრაფიისავე გაკვეთილს.

**მეექვსე კლასი.** მასწავლებელი აძლევს გეოგრაფიულ კითხვებს საზოგადოდ შვეიცარიაზე და აძებნინებს საზოგ. შვეიცარიის ქარტაში ტბებს, ქალაქებს, მდინარეებს და სხვ. ამ გვარად მეცადინეობდა რა ყველა კლასებთან (პირველზე დაიწყო ხომ) პირველ კლასიანები დაითხოვა. მეორე და მესამე კლასს დიდ დაფაზე დაუწერა ნიმუშები და წერა მისცა. სუსტებთან მივიდა, გაუსწორა, დააყენა ყველანი საქმეში და თვით ისევ მეექვსე კლასსზე გადავიდა, რომელიც ამ დრომდის, გეოგრაფიის შემდეგ, ჩუმათ გეომეტრიის გაკვეთილს ამზადებდა და მოუსმინა გაკვეთილი.

მასწავლებელი ბავშვებს არ უყვირის, ძალიან ხმა მაღლა არ ელაპარაკება, როგორც ჩვენში ბევრმა იცის ხოლმე. მთელს ჩემს დაკვირვების განმავლობაში მარტო ერთი მასწავლებელი შემხვდა დიდად მოლაპარაკე ესეც იმიტომ, რომ ბუნებას მისი სახმო ორგანოები ისე მოეწყო, რომ ხმა-დაბლა, წყნარად ლაპარაკის ნიჭი მისთვის არ მიეცა. მოსწავლეთაგანს, ვინც მშვენიერად მიუგებს, ხოტბას არ შეასხამს მასწავლებელი, დარწმუნებული, რომ მან ვალი შეასრულა, მეტი არაფერი. სიცელქე-ეშმაკობისათვის, გაკვეთილის მოუმზადებლობისათვის ყურსაც ჩამოუწევს, გეოგრაფიის ადგილ-ქალაქების საჩვენებლად ქარტაში ჩხირი რომ უკავია, იმ ჩხირსაც გადაარტყამს, ხანდისხან, ამ სახით კიდეც აატირებს ბავშსა, ვაჟია თუ ქალი, ეს სულ ერთია. ქალაქ ციურიხში კი ჩემის დაკვირვების დროს ასეთი დასჯა არ შემინიშნავს. პირით კედლისკენ დაყენება და სხვ. კი. ყოველ შემთხვევაში ასეთ დასჯას ძალიან იშვიათად მიმართავენ ხოლმე, რადგან რვა კლასიან სკოლაში დისციპლინა საუცხოვოდ არის დაცული. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ მასწავლებელს წინ-და-წინ გამოწყობილი აქვს ყველაფერი (სამუშაო) და თითოეული კლასი მუდამ საქმეში ჰყავს; ამაში მეტად შველის ის გარემოებაც, რომ სიტყვიერი მეცადინეობა თითქმის ყოველი გაკვეთილისა და ყოველ კლასში მუდამ იცვლება წერილობით მეცადინეობაზე.

ვ. ჯ—ა.

(გაგრძელება იქნება)

გან აუცილებელი საჭიროა მუშაობა ამ წელშივე იქნას დაწყებული, თორემ თუ ასე დარჩა ამ ზამთარშიაც, შენი მტერია, ეკკლესია თავზე ჩამოჰგვენგრევა და მოსალოდნელია ადამიანიც დამარცხდეს.

**დ. გეჯეთელი.**

---

**ქ. თელავი.** ამ ჟამად თელავს აქვს ერთი პატარა ადგილი რიყის პირას, სადაც სოფლელთ მოაქვთ სხვა და სხვა სანოვაგე გასასყიდად. ეს ადგილი ისეთი პატარაა, რომ თვით დედაკაცებიც მლივს ეტევიან და მყიდველნი რომ შეიყრებიან ხოლმე, ისეთი ვიწროობაა, რომ კაცს თავისუფლად გავლა უჭირდება. ამასთან ეს მოედანი არ არის ხეირიანად გამაგრებული რიყის მხრივ. ისე რომ ყოველ წყლის მოვარდნის შემდეგ შეკეთება სჭირდება.

ეხლა-კი თელავის თვით-მმართველობამ იგრძნო ამ ადგილის და რიყის საჭიროება და გადასწყვიტა რიყის ნაწილის შემოერთება. ამისათვის შიგ რიყეში აშენებს მკვიდრ ქვითკირის გალავანს, ხიდიდან დაწყებული ისე გასწვრივ 50—60 საჟენის სიგრძეზე; ამასთან განზრახვა აქვთ თურმე ეს ადგილი გაასწორონ, დაახვრიონ ის სამი თვალი დუქანი, რომელიც ჩაჩხირულია განზრახულ მოედნის წინ, ააშენონ კედლის გაყოლება დუქნები, სადაც, სხვათა შორის, მოთავსებული იქნება მეყასბები და სხვ.

რასაკვირველია, ყველა ეს სასარგებლო საქმეა ქალაქისათვის: ამ საქმის განხორციელებით მ.ს აღმოუჩნდება ერთი საგრძნობელი შემოსავლიანი წყარო, მაგრამ! მაგარი ის არის, რომ იგი თავის ინტერესების გულისათვის რომ ზრუნავს, ქალაქის მცხოვრებნიც არ უნდა დაივიწყოს.

ამ მოედნის ზემოდ გაშენებულია საკირეები, სადაც კირს ამზადებენ, მხოლოდ მის გარშემო-კი ბლომად სცხოვრობს მდაბიო მუშა ხალხი. ზოგი სახლი სულ სამი ოთხი საჟენის სიშორეზეა საკირედან, ასე რომ კირის დაწვის დროს სახლები ბოლით ევსებათ. თუმცა თელავის თვითმმართველობამ წელიწადში თითო ჯერ დართო ნება კირის დაწვისა, მაგრამ ამათ ამ ზაფხულს ეს მეორედ დაწვეს კირი,—ჩიოდა გულ-ნადვლიანად ერთი იქ მცხოვრებთაგანი—რომელმაც მაიძულა სხვაგან წავსულიყავ იმ დროს, რადგანაც შინ დარჩომა შეუძლებელი იყო.

**დიმიტრაშვილი.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ

„ცნ. ფურც.“ № 1540-ში ბ-ნი მნახველი ს. ქვემო ჰალის არსებულის სამინისტრო და საეკკლესიო სამრეწველო სკოლებს აცნობს მკითხველებს. პირველს ე. ი. სამინისტრო სკოლას აქებს: „სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს სკოლა შვიდის პატარა მანქანით„... მხოლოდ მეორეს სამრეწველოს სკოლას—აძაგებს „სამინისტრო სკოლას ექიშპება...“ „მხოლოდ გოსპოდი პომილუის ასწავლის.« წერილის თავში ცოტა გაუბედავათ ამბობს, რომ ამ სკოლებს შორის, „თუ არ მოგვატყუილა ჩვენმა დაკვირვებამ, ძალიან კარგი განყოფილება არ უნდა ჰსუფევდეს,“ მაგრამ წერილის ბოლოში ბ. მნახველი, თითქოს არ იყოს, წელში გაშლილათ, უფრო გაბედულობით ლაპარაკობს: "სამრეწველო სკოლა სამინისტრო სკოლას ექიშპება“-ო. თქვენ ამბობთ, ბ. მნახველო, რომ სამინისტრო სკოლა კარგს ნიადაგზე არის დაყენებული. ამაზე მეც გეთანხმებით, რომ სამინისტრო სკოლამ ამ ბოლო წელიწადს წინ წაიწია, მხოლოდ ისიც ხელოსნობის სწავლებით, მეორე სკოლა სამრეწველო კი არ არის—პირველ დაწყებით (ШКОЛА ГРАМОТЫ) და რა ვუყოთ, რომ ამ პირველ დაწყებითს სკოლაში მანქანებზე ხელოსნობას არ ასწავლიან, ასეთ ნაკლულევანებას კიდევ ბევრი შესაწყნარებელი მიზეზები აქვს. ბ. მნახველი კარგი მნახველი არ ყოფილა, რომ არ სცოდნია წარსული და აწმყო არც სამინისტრო სკოლისა და არც პირველ დაწყებითისა! სამინისტრო სკოლა ოცი წელიწადია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი ნაკლულევანება და დაბრკოლება მატერიალური მხრივ არ ჰქონია; აქვს დიდი სასწავლებლის შენობა, გაშენებული ბაღები ექვსს დესეტინამდე და ამ მამულის შემოსავალიც მას საკეთილ-დღეოდ ხმარდება. სამინისტრო სკოლაში სდგას ექვსი მანქანა და ეს სკოლის ფულით არის შეძენილი. სამინისტრო სკოლას ჰყოლია და ჰყავს სამი და ოთხი მასწავლებელი. რაც შეეხება პირველ დაწყებით სკოლას, იგი არსებობს ს. ჰალაში სულ წელიწადი და სამი თვე. ეს სკოლა გავხსენი ჩემის სურვილით და ჩემის მეუღლის დახმარებით, ვასწავლით ეს მეორე წელიწადია უსასყიდლოდ. სკოლას ჯერ არც შენობა აქვს და არც შენობის ადგილი. ვასწავლით ბავშვებს ჩვენს სახლში, თუმცა ვიწროობისა გამო, დიდის დაჭირვებით. და რა საკვირველია, ამის შემდეგ ჩვენს პირველ დაწყებითს სკოლას სახელოსნო მანქანები რომ არ ჰქონდეს და მოწაფეები არ სწავლობდნენ? თუმცა ჩვენ ხელოსნობასაც ვასწავლით ბავშვებს, მაგრამ ხელზე და არა მანაქანებზედ, ხოლო, რაც შეეხება წიგნით სწავლას, ჩვენი სკოლის საქმე კარგათ არის დაყენებული, რაზედაც ყველა კეთილ-სინიდისიერი პირი დამეთანხმება, ვინც კი იცნობს ჩვენს სკოლას და რასაც ცხადათ ამტკიცებს შარშანდელი და წრევანდელი მოწაფეების გამოცდა, რომელსაც რევიზორები ესწრებოდნენ. რაც შეეხება იმას, ვითომც ჩვენი სკოლა სამინისტროს ქიშპობას უწევდეს, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს.

P. S. ამასთანავე გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, რომ ამ წერილთან ერთად გამოაცხადოთ შემდეგი: 14 ივლისს ამა 1901 წელს ჩემდამის რწმუნებულის ქვემო-ჰალის სამრეწველო სკოლის სასარგებლოთ გამართული იყო ლიტერატურული საღამო. მონაწილეობას იღებდნენ ხსენებულის სკოლის მოწაფე ქალები და აგრეთვე ახალგაზდა გარეშე პირები, რომელთაც დიდ მადლობას ვუძღვნი დახმარებისათვის და შემწეობის აღმოჩენისათვის. შემოსავალი იყო 53 მან. და 40 კ.

ქვემო-ჰალის პირველ-დაწყებითის სკოლის ხელ-მძღვანელი **მღ. გაბრიელ ზარკაძე.**

II

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 11 აგვისტოს დ. სურამში ჩემ სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენაში:

ქ. ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ე. ჩერქეზიშვილს პ. ყიფიანს და ნ. გიგაურს. ბ. ბ. კ. ყიფიანს, გოგლო ყაზახაშვილს, ჰილაძეს, ანანიაშვილს და აბაზაძეს. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაეხმარნენ ბილეთების გაყიდვაში და ბუფეტის გაწყობაში: და-ძმა კეკელაძეებს, ქ. ქ. ორჯონიკიძეებს ბ. ბ. კორინთელს, მურვანიშვილებს, მგალობლიშვილებს და ქ. ნებიერიძეს.

შემოსავალი იყო ბილეთებიდან 243 მ. ბუფეტიდან 60 მ. სულ—303 მ. დაიხარჯა 143 მ. დარჩა 160 მ.

სტუდ. **ზ. ხიდირბეგიშვილი.**

რედაქტორი **ალ. ჭყონია.** გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 24 აგვისტოს.**

**გექსელის კურსი 3 თვით:**

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,00 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 46,00 |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,60—94,56 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | $5^1/_2$—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 1/8 გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | $99^7/_8$ მყიდვ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $464^1/_4$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $353^1/_2$ მყიდვ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $243^3/_4$ გაყიდ. |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

**ტფილისიდან** ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

**ტფილისიდან** ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ტფილისიდან** ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბ) ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

**ქუთაისიდან** ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე, გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

---

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის დასწრებით, 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით 28 საფიშო სვეტის დადგმა ქალაქის ქუჩებზე, 2860 მანეთისა, უბნის არხიტექტორის შ. მ. შახნაზაროვის გეგმისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, პირობების გაგება შეიძლება გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ საქმე დღეს, დილის 9 საათიდან 2-მდე.

3—3

---

### მე-XIII პერიოდი ბუჰგალტერიაში მაცადინეობისა.

## ნ. პ. აბრამიანი,

„სავაჭრო და საფაბრიკო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით **ასწავლის ბუჰგალტერიას** ორივე სქესის პირთ **ოთხის თვის განმავლობაში**, თავდებობით და, თუ საჭირო იქმნება, რეკომენდაციითაც. **ასწავლის შემდეგ საგნებს:**

1) იტალიური ბუჰგალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.
2) კომერციული არითმეტიკა.
3) კომერციული კორრესპონდენცია.
4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.
5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.

სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, საღამოს 4 საათიდან 6-მდე.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.

**ბუჰგალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი.** (10—6)

---

## ტფილისის ქალაქის
# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის დასწრებით, 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით გაკეთება: 1) ბეტონის უსუფთაო წყლის მილისა მთაწმინდის ქუჩიდან დავიდოვის ქუჩით, ბარათაშვილის სახლამდე, სიგრძით—66,00 საჟ., სიგანით—0,375×0,25 და 25,00 საჟ. სიგძით და 0,16×0,10 საჟ. სიგანით; 2) უსუფთაო წყლის მილისა ავჭალის ქუჩიდან პავლოვის ქუჩით ფრიდონოვის სახლამდე, სიგანით—85,00 საჟ., სიგანით 0,33×0,22 საჟ. და 163,00 საჟ. სიგრძით, 0,42×0,28 საჟ. სიგანით.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, პირობების გაგება შეუძლია გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღეს, უქმის გარდა, დილის 9 საათიდან 2-მდე. (3—6.—2)

---

### წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო
## სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (ნატარიუსს ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) სალმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (სლესრობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავთ დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნდებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი—ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. (5—2)

---

**ქუთაისში**, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა